

დისკრიმინაცია

ქ. გორის #9 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი

მაგული სეხნიაშვილი



დისკრიმინაცია

ქ. გორის #9 საჯარო სკოლის სამოქალაქო

განათლების პედაგოგი:

მაგული სეხნიაშვილი

გაკვეთილის თემა: დისკრიმინაცია

კლასი: მეცხრე

საგანი: სამოქალაქო განათლება

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლეები შეისწავლიან დისკრიმინაციის სახეებს, გამოკვეთენ ორ მხარეს: მსხვერპლი და მოძალადე.
- შეძლებენ ძალადობის ფორმების დახარისხებასა და გაანალიზებენ ძალადობის ამსახველ მედია რესურსებს (პლაკატებსა და ვიდეოს).

მედიაწიგნიერების მიზანი:

- მედია რესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება.

დისკრიმინაცია

ქ. გორის #9 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი

მაგული სეხნიაშვილი

- მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციის გამომსახველობითი ხერხების ანალიზი.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

დისკრიმინაცია: ადამიანების უთანასწორო, უსამართლო მოპყრობა. განსაკუთრებით მაშინ როდესაც ეს მიმართულია რაიმე ნიშნით განსხვავებული ადამიანების ჯგუფის წინააღმდეგ. კერძოდ დისკრიმინაცია შეიძლება იყოს რასობრივი, ეთნიკური, სქესობრივი, რელიგიური და ა.შ. (ვიკიპედია)

ბულინგი/მოზინგი:

გულისხმობს დაშინებას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დევნას იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს სხვა ადამიანში შიში. (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი)

რასიზმი: არის კანის ფერის, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე ადამიანების ჩაგვრა, დამცირება, დისკრიმინაცია, მათზე ძალადობა. რასიზმი ასევე არის რწმენა ან მოძღვრება, იმის შესახებ რომ ადამიანის ქმედითუნარიანობა, მიღწევები ან ინტელექტი დამოკიდებულია მის რასობრივ კუთვნილებაზე. ამგვარი რასისტული მოსაზრებები ხანდახან მეცნიერული ან ფსევდომეცნიერული არგუმენტებითაა თანხლებული. (ვიკიპედია)

გამოყენებული რესურსი:

- პროექტორი
- ლეპტოპი
- მოსწავლის საკითხავი მასალა
- ფოტომასალა
- ვიდეო მასალა

დისკრიმინაცია

ქ. გორის #9 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი

მაგული სეხნიაშვილი

გაკვეთილის მიმდინარეობა

აქტივობა #1:

მოსწავლეები, ნაჩვენებ ფოტომასალაში ამოიცნობენ მსხვერპლსა და მოძალადეს და ავსებენ სქემას.



სურათი #1

კითხვა	სავარაუდო პასუხი
ვინ არის გამოსახული სურათზე?	მსხვერპლი
რა მიზანს ემსახურება სურათი?	სურათი გადმოსცემს ძალადობას, გოგონა დატყვევებულია
როგორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს სურათი?	ქალებზე ძალადობა დაუშვებელია, ადამიანის დატყვევება დაუშვებელია
რა არის ძირითადი გზავნილი?	დისკრიმინაცია დანაშაულია

დისკრიმინაცია

ქ. გორის #9 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი

მაგული სეხნიაშვილი

რა ხერხებს მიმართა ავტორმა მაყურებელზე ზემოქმედების მიზნით?	პლაკატი შავ-თეთრია, დატყვევებული გოგონას თვალები მაყურებელს დახმარებისთვის განაწყოფს.
--	--

სურათი #2

კითხვა	სავარაუდო პასუხი
ვინ არის გამოსახული სურათზე?	მომალადის აჩრდილი და ბავშვი
რა მიზანს ემსახურება სურათი?	დავინახოთ ძალადობის ორი მხარე: მსხვერპლი და მოძალადე
როგორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს მოცემული სურათი?	ბავშვზე ნებისმიერი სახის ძალადობა დიდ ფსიქოლოგიურ სტრესს იწვევს
რა არის ძირითადი გზავნილი?	არა ძალადობას!
რა ხერხებს მიმართა ავტორმა მაყურებელზე ზემოქმედების მიზნით?	პლაკატი შავთეთრია. მოძალადის აჩრდილს არ აქვს სახე, თუმცა ის ყვირის, ხოლო შეშინებული გოგონა ყურებზე ხელს იფარებს და თვალები დახუჭული აქვს.


აქტივობა #2:

მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და პასუხობენ კითხვებს.

დისკრიმინაცია

ქ. გორის #9 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი

მაგული სეხნიაშვილი



(როგორ გავხდეთ აქტიური მოქალაქე – სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო, გვ.55)

მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და პასუხობენ შეკითხვებს:

✚ **კითხვა:** როგორ ფიქრობთ, სად არის აქ უსამართლობა? დისკრიმინაცია?

სავარაუდო პასუხი: ანრისადმი დამოკიდებულებაში, იმ შერქმეულ სახელში, რომლითაც ანრის მიმართავენ. ასევე გოგონების მიმართ დამოკიდებულებაში.

✚ **კითხვა:** თავი წარმოიდგინეთ ანრის ადგილზე, რას იგრძნობთ?

სავარაუდო პასუხი: ანრის ადგილას რომ ვყოფილიყავით, გვეწყინებოდა ასეთი მოპყრობა.

✚ **კითხვა:** დაასახელეთ პერსონაჟები, რომელთა ადგილზე ყოფნასაც არ ისურვებდით, რატომ? როგორ მოიქცეოდით მათ ადგილზე, რომ ყოფილიყავით?

სავარაუდო პასუხი: არ მოვისურვებდი დათოს მიშოსა და ლაშას ადგილას ყოფნას. მათ ადგილას რომ ვყოფილიყავი ანრის თამაშის საშუალებას მივცემდი.

✚ **კითხვა:** რას გააკეთებდით, თუ ასეთი სიტუაცია თქვენს კლასში ან თქვენს ეზოში შეიქმნებოდა?

დისკრიმინაცია

ქ. გორის #9 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი

მაგული სეხნიაშვილი

სავარაუდო პასუხი: შევეცდები მოძალადეს გავაგებინო, რომ ეს არასწორი საქციელია. მსხვერპლს კი მხარში ამოვუდგე.

✚ **კითხვა:** ბულინგის რომელი სახეებია ნაჩვენები სიტუაციაში?

სავარაუდო პასუხი: სიტყვიერი ძალადობა.

აქტივობა #4: ფილმის ჩვენება და მისი განხილვა

https://www.facebook.com/unicef/videos/vb.68793499001/10153484118399002/?type=2&theater&__mref=message_bubble

ვიდეო განსხვავებული გარეგნობის ბავშვზეა, რომელიც ხშირად ხდება დაცინვის ობიექტი. ვიდეო განსხვავებულის მიმღებლობას ეძღვნება, რომ ყველა ადამიანი ერთნაირი უფლებით უნდა სარგებლობდეს და არ უნდა მოხდეს რაიმე დამახასიათებელი განსხვავებული ნიშნით მისი საზოგადოებიდან გარიყვა

ფილმის ნახვის შემდეგ, მოსწავლეებს ვუსვამთ შეკითხვას:

✚ როგორ ფიქრობენ, რა პრობლემა იკვეთება ამ ფილმში?

სავარაუდო პასუხები:

✚ „განსხვავებულის“ მიუღებლობა საზოგადოებაში

✚ მოზარდების მიერ ბავშვის ჩაგვრა, დაცინვა

მოსწავლეები ფილმს განიხილავენ მედიაწიგნიერების კითხვების დახმარებით. ისინი ავსებენ სქემას. სამუშაო შეიძლება შესრულდეს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში.

კითხვა	პასუხი
როგორ ფიქრობთ რა არის ფილმის მთავარი აზრი?	დისკრიმინაცია და ნებიმიერი სახის ძალადობა დაუშვებელია
იწვევს თუ არა ემოციას ფილმში გამოყენებული	ფილმი იწვევს ადამიანში ემოციას. განსხვავებული გარეგნობის ბავშვი შემოდის

დისკრიმინაცია

ქ. გორის #9 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი

მაგული სეხნიაშვილი

კადრები?	კლასში, და ყველა შეშინებული უყურებს. შემდეგ კი ბავშვს დასცინიან.
ვინ არის ფილმების აუდიტორია?	საზოგადოება, ბავშვები, მასწავლებლები, მშობლები
რა სათქმელი თქვეს ფილმის ავტორებმა?	დისკრიმინაცია და ძალადობა დაუშვებელია.
რა ხერხებს იყენებს ავტორი	ფილმში გამოყენებულია განგაშის თემატიკის მუსიკა, როდესაც თანაკლასელები არ იღებენ განსხვავებულ ბავშვს, ხოლო როდესაც ბავშვებს შორის მეგობრული ურთიერთობა მყარდება, მუსიკა ოპტიმისტური და მხიარულია. ავტორი იყენებს კადრებს, სადაც ჩანს განსხვავებული ბავშვის ხელი, როდესაც ის მეგობარს განსხვავებულ ვაშლს აწვდის, როდესაც სცენაზე გამოსულ თანაკლასელს ეხმარება ალტაცებისგან დამლიოს დედამიწის მიზიდულობის ძალა.

აქტივობა #8:

მოსწავლეებს ვუჩვენებთ ფოტოებს, ისინი ამოიცნობენ დისკრიმინაციის სახეს, მთავარ გზავნილს და იმ ხერხებს რითაც ავტორი გამოხატავს სათქმელს.

ფოტო	დისკრიმინაციის სახე, მთავარი გზავნილი, გზავნილის გამოხატვის მხატვრული ხერხები.
	- დისკრიმინაციის სახე: განსხვავებული კანის ფერის მიუღებლობა. - მთავარი გზავნილი: არა რასიზმს! - მხატვრული ხერხები: ტექსტური გზავნილები: არა რასიზმს! ყველა ერთნაირი ვართ. გაშლილი ხელისგული შავ-თეთრ ფონზე

დისკრიმინაცია

ქ. გორის #9 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი

მაგული სეხნიაშვილი

	✚ დისკრიმინაციის სახე: საზოგადოებისგან გარიყული აივ ინფიცირებული ადამიანი ✚ მთავარი გზავნილი: აივ ინფიცირებულს უფლება აქვს იყოს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ✚ მხატვრული ხერხები: ტექსტური გზავნილი, შავ-თეთრი ფოტო, ადამიანის თვალებს კი ვერ ვხედავთ, არამედ წარწერას.
	✚ დისკრიმინაციის სახე: მსხვერპლი დამონებულია ✚ მთავარი გზავნილი: მონობა მიუღებელია ✚ მხატვრული ხერხები: ტექსტური გზავნილი, შავ-თეთრი ფოტო, ადამიანს თვალები დახრილი აქვს, მიწას უყურებს. ხელი მავთულხლართზე აქვს წავლებული. ხელი სურათის სტატიკურ გარემოს „არღვევს“. ადამიანს აქვს განთავისუფლების შანსი, ის ცოცხალია.

აქტივობა #9:

დისკუსია – დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, განვსაზღვროთ მსხვერპლის მდგომარეობა

სავარაუდო პასუხი: მოსწავლეები იტყვიან, რომ სხვერპლი ისეთი ძლიერი ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ იმყოფება ძალადობის დროს, რომ შესაძლებელია ყველაზე უკიდურეს მდგომარეობაშიც კი ჩავარდეს. გარდა ამისა ყველა ადამიანს არ აქვს ერთნაირი ფსიქიკა და ძალადობამ შესაძლებელია სუიციდამდეც კი მიიყვანოს მსხვერპლი. მსხვერპლის ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია ხანგრძლივი პროცესია.

დისკრიმინაცია

ქ. გორის #9 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი

მაგული სეხნიაშვილი

შეფასების რუბრიკა:

განმავითარებელი შეფასება

ინდიკატორი	კი	არა
მოსწავლე აქტიურადაა ჩართული სქემის შევსების პროცესში.		
მოსწავლეს ესმის დისკრიმინაციის არსი, გამოყოფს დისკრიმინაციის ფორმებს.		
მოსწავლე ჩართულია ფილმის განხილვის პროცესში.		
გამოხატავს ინტერესს აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში.		
დისკუსიის პროცესში აქტიურადაა ჩართული, მოსწავლე კარგად აანალიზებს დისკრიმინაციის არსს, სახეებს. გამოყოფს მოძალადესა და მსხვერპლს ერთმანეთისგან		
მოსწავლეს შეუძლია მედიაგზავნილებში ავტორის მხატვრული ხერხების ამოცნობა		